

მდ.ენგურის პოტენციური ჰიდროენერგეტიკული რესურსები

ოთარ ჯაფარიძე

ელ-ფოსტა: otar.japaridze302@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179 საქართველო

საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მინიშვნელოვან გამოწვევას ენერგო დამოუკიდებლობა წარმოადგენს. ენერჯის სხვა წყაროებთან მიმართებაში საქართველოს ჰიდროენერჯის დიდი პოტენცია გააჩნია. მე-20 საუკუნიდან ჰიდროენერგეტიკა ქვეყანაში ელექტროენერჯის წარმოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. 2018 წლის ივლისის მონაცემებით, გენერაციის მთლიანი დადგმული სიმძლავრე საქართველოში 4170 მგვტ-ს შეადგენს. ქვეყანაში გამოიმუშავებული ელექტროენერჯის 77,4% კი ჰიდროენერგეტიკაზე მოდის. უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა მცირე სიმძლავრის ჰესების (5 მგვტ) მშენებლობა.

პოტენციური ჰიდროენერგორესურსებით განსკუთრებით გამოირჩევა მდინარე ენგურის აუზი, აქ წყლის დიდი ნაკადისა და ვარდნის გამო ხვედრითი სიმძლავრე გრძივ კილომეტრზე საქართველოში ყველაზე მაღალია, სწორედ ამიტომაც ეს რეგიონი იწვევს დიდ დაინტერესებას და აქ გათვალისწინებულია მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

ნაშრომში განხილულია აუზში არსებული და დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროლოგიური საფუძვლები, საქართველოს ჰიდროენერგეტიკული ბალანსის თავისებურები და მასში მდინარის პოტენციური რესურსების გამოყენების პერსპექტივები, ასევე მდინარის წყლის რეჟიმის ცვალებადობა სადღეისო პრობლემატიკის გათვალისწინებით.